აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 86

01 დეკემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

**ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის
რეგისტრაციის შესახებ**

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია „სიმართლისა და სამართლის ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე